

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების როლი შვილად აყვანილ ბავშვების მორალური და სამართლებრივი უფლებების დაცვის პროცესში

კუხიანიძე ქეთევანი – პედაგოგი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Role of Child Guardianship and Care Institutions in the Process of Children Adoption Based on Moral and Legal Rights Protection

Kukhianidze Ketevani – Invited Specialist, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Adoption is a widespread practice in the modern world. Guardianship and care institution plays key role in child's adoption process - in particular, employees of the social service agency on whose competence and qualifications is based legal adoption process and their placement in the families that is a big responsibility, and it requires proper management processes from them.

Therefore, this article aims to highlight the role of child guardianship and care institutions in the process of children adoption; to identify gaps in the legislation by learning international and national legal acts in order to further improve the institute of adoption; to establish a well-founded theoretical and practical recommendation for harmonization of national legislation with the international norms.

Research methodology: Used methods are methods of analysis and comparison. For comparative analysis are used the law and practice of adoption institution of those countries that have great experience in it.

Results and implications: Article has practical, theoretical and training methodological value.

Conclusion: In conclusion we can say that the the role of child guardianship and care institutions in the process of children adoption is very important. It is essential to implement suitable measures in order to protect the legitimate interests of the child and the social workers do their task in a qualified manner during the adoption process. To create family and home environment is the most important aspect of growing healthy future generation.

We believe that the combination of Georgian legislation with the legislation of developed countries will improve the adoption process and simplify it.

Keywords: role of child guardianship and care institutions, social employee, adoption process, control, assessment.

აბსტრაქტი

შესავალი და მიზანი: შვილად აყვანა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა თანამედროვე სამყაროში. არასრულწლოვნის შვილად აყვანისას ძალიან დიდ როლს თამაშობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო – კერძოდ კი სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები, რომელთა მაღალკვალიფიციურობასა და კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული ბავშვის კანონიერად გაშვილება და მის ოჯახურ გარემოში განთავსება, რაც დიდ პასუხისმგებლობასა და მათი მხრიდან პროცესების სწორად წარმართვას მოითხოვს.

სწორედ ამიტომ, მოცემული სტატიის მიზანია ხაზი გაუსვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლს შვილად აყვანისას. საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტების შესწავლით გამოავლინოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები შვილად აყვანის ინსტიტუტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ჩამოაყალიბოს დასაბუთებული თეორიული, პრაქტიკული რეკომენდაციები ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფისა და საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატიაში გამოყენებულია ლოგიკური და შედარებითი სამართლებრივი მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: სტატიას აქვს პრაქტიკული, თეორიული და სასწავლო მეთოდური მნიშვნელობა.

დასკვნა: დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია შვილად აყვანის პროცესში. აუცილებელია სათანადო ღონისძიებების გატარება, რათა

დაცული იქნება ბავშვის კანონიერი ინტერესები და მოხდეს სოციალური მუშაკების მიერ შვილად აყვანის პროცესის მაღალკვალიფიციურად განხორციელება. ოჯახი და ოჯახური გარემოს შექმნა კი ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობის შერწყმა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასთან ხელს შეუწყობს შვილად აყვანის საკითხის კიდევ უფრო მეტად დარეგულირებას და შვილად აყვანის პროცესის გამარტივებას.

საკვანძო სიტყვები: მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, სოციალური მუშაკი, შვილად აყვანა, კონტროლი, შეფასება.

1 მეურვეობისა და მზრუნველობის არსი

შვილად აყვანის ინსტიტუტის რეგულირების დროსაც ერთ–ერთ მნიშვნელოვან რგოლს –მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო წარმოადგენს. იგი დაყოფილია ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებად.

მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალურ ორგანოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო წარმოადგენს, ხოლო მისი ტერიტორიული ერთეული – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო.

სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება კოორდინაციის გაწევა მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, ბავშვთა უფლებების დაცვა შვილად აყვანის საკითხებში, რეესტრის წარმოება– მისი სისტემატიზება და დამუშავება და სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

1.1 მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილება

მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს უფლებამოსილება შვილად აყვანის სფეროში, საკმაოდ ფართო მოცულობითია და მოიცავს შემდეგ საკითხებს: შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ყველა ეტაპზე გასაშვილებელი ბავშვის წარმომადგენლობის უზრუნველყოფას, მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის შეფასების, ასევე მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის შეფასების განხორციელებას. აღნიშნული ფუნქციის რეალიზაციის მიზნით, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე სახის ნეგატიურ კრიტერიუმზე. უპირველეს ყოვლისა, ადგენს არის თუ არა მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა 16 წელზე მეტი და არსებობს თუ არა კანონით დადგენილი გამონაკლისები სასამართლოს წინაშე ასაკობრივი განსხვავების მინიმალური ზღვარის შესაცვლელად. ამასთან, სწორედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამოავლენს, არსებობს თუ არა 10 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის თანხმობა მისი შვილად აყვანის თაობაზე ¹და მესამე, საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ " მე– 11 მუხლის თანახმად, არიან თუ არა მშვილებელი და გასაშვილებელი ბავშვი განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის.²

რაც შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების დამატებით ფუნქციებს, მათ ენიჭებათ ასევე უფლებამოსილება, შეიმუშაონ ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა და განახორციელონ ამ გეგმის შესრულების მონიტორინგი, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში

¹ მამულაშვილი მ. 2014. *შვილად აყვანა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია* თბილისი:სტუ გვ 44

² საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – III, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

უზრუნველყონ შვილად აყვანის საკითხებზე კონსულტაციების ჩატარება და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.³

1.1.1 ლიტვა

თუკი შევადარებთ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობას, ლიტვაში გაშვილებაზე პასუხისმგებელია „ბავშვის უფლებების დაცვის და გაშვილების სახელმწიფო სამსახური“. ამ სამსახურში მშვილებელი ოჯახი დგას რიგში გაშვილებისთვის შესაფერისი ბავშვის მოლოდინში. როგორც კი შეირჩევა ბავშვი, ყველა საბუთის არსებობის შემთხვევაში, გაშვილების სამსახური გასცემს ბავშვთან მშვილებლების შეხვედრის და შემდგომ მისი შვილად აყვანის სპეციალურ ნებართვას.

1.1.2 ბელგია

ბელგიაში გაშვილების საქმეს სპეციალური სააგენტო არეგულირებს, იგი უნდა იყოს აკრედიტირებული, სერტიფიცირებული, სპეციალურად ბავშვის აყვანაზე ორიენტირებული.

1.1.3 ბულგარეთი

ბულგარეთში შვილად აყვანის საკითხები იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაშია. შვილად აყვანის მსურველი ოჯახი თხოვნით მიმართავს იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტრო შეისწავლის პოტენციური მშვილებლებისა და ასაყვანი ბავშვის დოსიებს, რის შემდეგაც ხდება სავარაუდო ოჯახის შეხვედრა ბავშვთან, სამინისტრო გადასცემს საქმეს სასამართლოს.⁴

1.1.4 ავსტრია

ავსტრიაში შვილად აყვანაზე პასუხისმგებელი ორგანოა ახალგაზრდობის კეთილდღეობის სამსახური, რომელიც მოქმედებს, როგორც შვილად აყვანის სააგენტო⁵.

1.1.5 ლატვია

ლატვიაში შვილად აყვანის საკითხებს არეგულირებს ობოლთა სასამართლო, რომელიც არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, დაფუძნებული ოლქში, ქალაქში ან ადგილობრივი სამრევლო ხელისუფლების მიერ. ადგილობრივი ხელისუფლების საბჭოებს შეუძლიათ დააფინანსონ ობოლთა სასამართლოები. თუკი რამდენიმე ადგილობრივი ხელისუფლება ერთობლივად დააფუძნებს ობოლთა სასამართლოს, მათ შეუძლიათ ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე დააფინანსონ იგი. ობოლთა სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და ობოლთა სასამართლოს წევრებისაგან.⁶

2 გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვა და რეესტრი

საქართველოში გასაშვილებელი ბავშვები და მშვილებლები აღრიცხული არიან გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიან რეესტრში, რომელიც მოიცავს გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა შესახებ მონაცემების ერთობლიობას.⁷

რეესტრის შემოღებამ ერთგვარად ხელი შეუწყო სახელმწიფო დონეზე შვილად აყვანისა და გაშვილების კიდევ უფრო მეტად გაკონტროლებას და მეურვეობისა, მზრუნველობის ორგანოებისთვის ფუნქციის გაფართოებას. რადენადაც შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა სოციალურ მუშაკებს ევალებათ, მათი პირველადი ამოცანაა გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭება და რეესტრში

³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №50/ნ 2010 წლის 26 თებერვალი შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ³თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

⁴ კალანდაძე ნ. კვლევითი დეპარტამენტი კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება. შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32431/Svilad_ayvana_sazRvargareTis_qveynebSi.inter_\(15/10/2015\)_გვ 2-4](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32431/Svilad_ayvana_sazRvargareTis_qveynebSi.inter_(15/10/2015)_გვ 2-4)

⁵ Brulard L., Dumont L. Final Report. Legal Analysis. http://ec.europa.eu/civiljustice/news/docs/study_adoption_legal_analysis_en.pdf (pp- 3-499) (11.07.2014) pg 8

⁶ Latvijas Republikas Labklājības Ministrija. Adoption. Procedures for Adoption. <http://www.lm.gov.lv/text/1128> (8.03.2016)

⁷ შენგელია რ., შენგელია ე. 2009. *საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: მერიდიანი გვ 303

მათ შესახებ მონაცემთა აღრიცხვა, რადგან არც ერთ სხვა პირს არ აქვს მსგავსი პროცედურების წარმოების უფლება.⁸

საქართველოს კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მე-16 მუხლის თანახმად, განსაზღვრულია გარკვეული ქმედებები, რომლის განხორციელებაც კანონმდებლობით იკრძალება. მათ მიეკუთვნება შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ ქმედებაში ხელის შეწყობა, ამასთან, გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლის საჯარო განცხადებით ძებნა ან შეთავაზება. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჯარო განცხადებაში აღნიშნულია მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამისი ორგანოს შესახებ, იმაზე მითითებით, რომ შვილად აყვანის საკითხებზე მხოლოდ მათ შეუძლიათ მიმართონ. ასეთ განცხადებაში, რასაკვირველია, არ მიეთითება გასაშვილებელი ბავშვის ვინაობის შესახებ.⁹

მიუხედავად ასეთი აკრძალვისა, ვფიქრობთ, ჩანაწერი, რომლითაც იკრძალება გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლის საჯარო განცხადებით ძებნა, ან შეთავაზება, უსარგებლო ნორმაა, რადგან არავინ დაიწყებს საჯაროდ განცხადების გამოკვრას ბავშვის ან მშვილებლის მოძიებასთან დაკავშირებით.

მოცემული ჩანაწერით ცხადია, რომ შვილად აყვანა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გვერდის ავლით დაუშვებელია. ეს კი, თავის მხრივ, მიგვანიშნებს, რომ უკანონო გაშვილება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს აღნიშნული ქმედებები ნაკლებად გახმაურებულია ფართო საზოგადოებისთვის, რაც ხშირ შემთხვევაში აიხსნება იმით, რომ მოცემულ დანაშაულს დაფარული სახე აქვს და ძნელად თუ დგინდება გარიგებას აქვს თუ არა ადგილი მშვილებელსა და ბიოლოგიურ მშობელს (მშობლებს) შორის, მაინც მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის, სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესება და მეტად ჩართულობა შვილად აყვანის საკითხის ირგვლივ უპირატესი უფლების გამოყენების დროს, რაც ხელს შეუწყობს უკანონო გაშვილების აღკვეთას და უტყუარად დადასტურებული ინფორმაციის მიწოდებას სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მშვილებლისა და ბიოლოგიური მშობლის ქმედების შესახებ. ამისათვის კი მიგვაჩნია, რომ კარგი იქნება ტელევიზიითა და სოციალური ქსელის საშუალებით გავიდე სოციალური რეკლამები მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით. მიეწოდოს მათ ინფორმაცია უკანონო შვილად აყვანის შემთხვევაში გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნორმების შესახებ. ამასთან, საცნობარო-საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა, სადაც აღნიშნული იქნება ის შედეგები, რაც მოყვება უკანონო შვილად აყვანას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვს გასაშვილებელ სტატუსს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ანიჭებს, თუმცა მანამ, სანამ მოხდებოდეს ბავშვისთვის გასაშვილებელი სტატუსის მინიჭება, ზოგიერთ ბავშვს უწევს გარკვეული ეტაპების გავლა.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაპოვნ ბავშვთან დაკავშირებით მიტოვებული ბავშვის სტატუსის მინიჭების საკითხი. 18 წლამდე ასაკის უცნობი პირი ნაპოვნად მიიჩნევა მისი აღმოჩენის მომენტიდან ვინაობის დადგენამდე. ვინაობის დადგენაში კი იგულისხმება მისი პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის, დაბადების მოწმობის ან დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერის მოპოვება. ასეთი ბავშვის დროებით განთავსების საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო. ნაპოვნი ბავშვის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ინფორმაციას აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს, რომელთაც ევალდებულებათ გარკვეული ღონისძიების განხორციელება ბავშვისა და მშობლის ვინაობის დადგენის შესახებ.¹⁰ საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მე-14 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის აღმოჩენიდან 6 კვირის განმავლობაში ვერ დადგინდა ბავშვის ან მშობლის ვინაობა, ბავშვი მეურვეობისა და მზრუნველობის

⁸ შენგელია რ. შენგელია ე. 2013. *საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი გვ 304

⁹ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – III, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

¹⁰ შენგელია რ. შენგელია ე. 2013. *საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი გვ 305

ორგანოს მიმართვის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აღიარებული იქნება მიტოვებულად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანამ, სანამ მიმართვა განხორციელდებოდეს აუცილებელია ბავშვის დაბადება რეგისტრირებული იყოს.

ბავშვი მიტოვებულად აღიარებას ექვემდებარება მაშინაც, თუ გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად დადგინდა ბავშვის, ანდა მისი მშობლის ვინაობა, მაგრამ ვერ მოხერხდა შვიდი დღის ვადაში მათი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წარდგენა ან სხვაგვარად დაკავშირება ან/და აშკარა გახდა, რომ ისინი თავს არიდებენ მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას. შესაძლებელია ასევე სხვა გარემოებაც არსებობდეს, რომლის შემდგომ ბავშვს მიტოვებულის სტატუსი მიენიჭება.¹¹

სასამართლო ბავშვის მიტოვებულად აღიარების საკითხს განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლის დროსაც შეუძლია ასევე მიიღოს გადაწყვეტილება მშობლისათვის (მშობლებისათვის) მშობლის უფლება - მოვალეობების ჩამორთმევის თაობაზე.

2.1 მშობლის უფლების ჩამორთმევა

მიუხედავად იმისა, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა ყველაზე უკიდურესი ღონისძიებაა, მიგვაჩნია, რომ ისეთ ოჯახში, სადაც ჰარმონია არ სუფევს და ბავშვის მიმართ მშობლისგან უყურადღებობას და ხშირ შემთხვევაში უგულბელობას აქვს ადგილი, არასრულწლოვანი ასეთ დროს მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს განიცდის და გარიყულად გრძნობს თავს. მსგავს შემთხვევებში, თუ მშობლის მხრიდან სისტემატურად ხდება თავის არიდება მშობლის მოვალეობის შესრულების საქართველოს კანონი სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მშობლის უფლების ჩამორთმევის ნორმებს.

სსკ 1206-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლება, თუკი ის სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა რომელმაც ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მაწანწალობა), ან რომლის შვილიც მიტოვებულადაა აღიარებული, ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.¹²

მიგვაჩნია, რომ შვილის მიტოვებულად აღიარებას დაემატოს ვადა, თუ რა ვადის ფარგლებში არის შვილის მიტოვებულად აღიარება შესაძლებელი. ვფიქრობთ, რომ უნდა დაემატოს ჩანაწერი „ან ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ შეუსრულებია მშობლის მოვალეობა,“ რის გამოც მოცემული მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1206. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა

2. მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა, რომელმაც ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მაწანწალობა), ან ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ შეუსრულებია მშობლის მოვალეობა რის გამოც, შვილი მიტოვებულადაა აღიარებული, ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.

მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, იმ დღიდან საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მე-14 მუხლის თანახმად, ბავშვი აღიარებული იქნება მიტოვებულად. თუმცა მანამდე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უზრუნველყოფს ბავშვის დროებით განთავსებას, ბავშვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მის კანონიერ წარმომად-

¹¹ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – III, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

¹² საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (786–III, 24.07.1997წ). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

გენლობას, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსადმი მიმართვას ბავშვის დაბადების რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით. 13

ცხადია, რომ ბავშვისთვის გასაშვილებელი სტატუსის მიენიჭება არც თუ ისე მარტივი პროცედურაა. ის ბავშვები, რომლებიც მიტოვებულნი არიან მშობლებისაგან და ვერ შვილდებიან მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ რამდენიმე თვეში ერთხელ ტელეფონზე ბავშვის მოკითხვით ფიქსირდება, რომ ბავშვს ჰყავს მშობელი და ვერ ენიჭება გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი, შესაძლოა, ის სრულწლოვანების მიღწევამდეც დარჩეს ოჯახური გარემოს გარეშე. რამდენადაც მოზრდილ ასაკში ბავშვის შვილად აყვანა თითქმის უმრავლეს მშვილებელს არ სურს, საჭიროა, რომ კიდევ უფრო მეტად დააქარდეს გასაშვილებელი სტატუსის მიენიჭების პროცედურები და მიეცეს თითოეულ გასაშვილებელ ბავშვს იმის უფლება, ადრეული ასაკიდანვე ოჯახურ გარემოში გაიზარდოს და იგრძნობს მშობლიური სითბო და სიყვარული.

რამდენადაც ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების მიტოვების შემცირება, კანონით განსაზღვრულია ასევე სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსადმი, რომლის ინფორმირებაც უნდა მოხდეს დაწესებულებაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე შესული მელოგინის შესახებ, შესვლიდან 24 საათში. ადმინისტრაციას ასევე აკისრია ვალდებულება დაუყოვნებლივ მიაწოდოს მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ორგანოსა და საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს ინფორმაცია მელოგინის მიერ ჩვილის მიტოვებისა და მელოგინის გაპარვის შესახებ.¹⁴ გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის გვერდის ავლით შვილად აყვანა დაუშვებელია¹⁵.

2.1.1 მშვილებელ პირთა აღრიცხვა

როგორც ცნობილია, საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მე-15 მუხლი არეგულირებს მშვილებელ ოჯახთა/ პირთა აღრიცხვის საკითხს. ¹⁶ კერძოდ, აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტი შეეხება მშვილებელ კანდიდატთა მომართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტების ჩამონათვალს. მიგვაჩნია, რომ მოცემული დოკუმენტების ნუსხა უნდა გაფართოვდეს და დაემატოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, საშუალო განათლების ატესტატი და განქორწინებული პირის მომართვის შემთხვევაში სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ ან განქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, თუკი ქვრივია - მეუღლის გარდაცვალების მოწმობა. აქედან გამომდინარე, ზემოთ დასახელებული კანონის მე-15 მუხლი საჭიროებს ცვლილებას და ახლებური რედაქციით ჩამოყალიბებას:

მუხლი 15. მშვილებელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვა

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ შეთავაზებულ ბავშვზე მშვილებლის თანხმობისას, მშვილებელი ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მეუღლის თანხმობა, თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს; ბ) საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ბინადრობის მოწმობა) ასლი; გ) ქორწინების მოწმობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი; დ) განქორწინების შემთხვევაში - სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ ან განქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, თუკი ქვრივია - მეუღლის გარდაცვალების მოწმობა; ე) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (საშუალო განათლების ატესტატი); ვ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა; ზ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა; თ) ნასამართლობის შესახებ ცნობა.

¹³ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – III, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

¹⁴ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – III, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

¹⁵ შენგელია რ. შენგელია ე. 2013. *საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი გვ 308

¹⁶ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – III, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

რამდენადაც, შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სოციალური მუშაკი, მის კომპეტენციას განეკუთვნება: მშვილბელთა შეფასება მისი ბიოგრაფიული, პიროვნული, სოციალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ისევე როგორც ბავშვის შვილად აყვანის მოტივების განსაზღვრა და მათი შესაბამისობის დადგენა შვილად აყვანის მიზნებთან, გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემების, პიროვნული თვისებების, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და მშვილბელისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის განსაზღვრა და სხვა უფლებამოსილების განხორციელება, რომელთა საქმიანობის ხარისხზე კონტროლს ახორციელებს შესაბამისი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.¹⁷

სწორედ ამიტომ იმ პირს, რომელსაც სურს აიყვანოს ბავშვი საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მე-15 მუხლის თანახმად, პირველ რიგში, მიმართავს განცხადებით და სათანადო დოკუმენტაციით მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე სააგენტოს და მისი მიღებიდან სოციალური მუშაკი ახორციელებს ბავშვის შვილად აყვანის მსურველ ოჯახთა/პირთა დოკუმენტების დამუშავებას და შეფასებას.¹⁸

2.2. მშვილბელის შეფასება

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით ძალიან მცირე მოთხოვნებია განსაზღვრული მშვილბელის შესაფასებლად. ხშირად მათ დასკვნაში შემდეგ შეფასებას წავიკითხავთ: „აქვთ ბინა, ფართით ამდენი და ამდენი, უსაფრთხო საყოფაცხოვრებო პირობები, დამაკმაყოფილებელი სანიტარული ჰიგიენა, დგას ავეჯი და ტექნიკა, ელექტროენერგია უწყვეტი და ა.შ. საცხოვრებელი ფართი, საყოფაცხოვრებო პირობები, სანიტარული ნორმები და ჰიგიენა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი, კომუნალური პირობები: ელექტროენერგია, გაზი და წყალი“.

არ არის დადგენილი განათლების რა დონეს უნდა შეესაბამებოდეს მისი პიროვნება, როგორი ფინანსური მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს, რათა ჩაითვალოს, რომ ბავშვი მოცემულ ოჯახში უზრუნველყოფილი იქნება. აგრეთვე არ არის მითითება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი პიროვნულ თვისებები უნდა ჰქონდეს და როგორი სოციალური სტატუსი საზოგადოებაში, როგორც წესი, შემდეგი სიტყვებით აფასებენ პოტენციურ მშვილბელებს: „ ოჯახს გააჩნია გახსნილი საზღვრები, რომ აქტიურად ურთიერთობენ გარემო სისტემებთან, აქვთ ძლიერი სოციალური თანადგომის ქსელი“, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციური მშვილბელის შეფასების დროს პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება სოციალურ მუშაკს, რომელსაც ევალება ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასება და დასკვნის დადება იმასთან დაკავშირებით, მოცემულ ოჯახში ბავშვი ჯანსაღ გარემოში აღიზრდება და უზრუნველყოფილი იქნება თუ არა მისი მომავალი. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სოციალური მუშაკების მუდმივად გადამზადება და პროფესიული განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შვილად აყვანის პროცედურის ეფექტურად წარსამართად.

მნიშვნელოვანია ჩატარებულ იქნეს გარკვეული ტრენინგები სოციალური მუშაკებისთვის, რათა მათ შეეძლოთ შვილად აყვანის პროცესის დროს საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება. მაგ. სლოვაკეთში სოციალური მუშაკებისთვის ზემდგომი ორგანოსგან სპეციალური ტრენინგებია შემუშავებული შრომის, სოციალურ, და ოჯახის სამინისტროსგან, იუსტიციის სამინისტროდან და ასე შემდეგ. მათი ძირითადი ამოცანაა ბავშვების ჯანსაღ გარემოში მოთავსება, რაც, პირველ რიგში, უნდა გამომდინარეობდეს ბავშვის საჭიროებებიდან.¹⁹

მას შემდეგ, რაც მოხდება შეფასება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ახორციელებს მშვილბელ ოჯახებისა თუ პირისთვის ბავშვის შეთავაზებას, რომელთაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება მისი შვილად აყვანის თაობაზე, შეთავაზებიდან არა უგვიანეს შვიდი სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გადაცილება ჩაითვლება შეთავაზებული ბავშვის აყვანაზე უარის თქმად. იმ შემთხვევაში, თუ მშვილბელების მხრიდან მოხდება დადებითი პასუხის მიღება, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო

¹⁷ შენგელია რ. შენგელია ე. 2013. *საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი, გვ 308

¹⁸ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – IIს, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

¹⁹ Brulard L., Dumont L. Final Report. Legal Analysis. http://ec.europa.eu/civiljustice/news/docs/study_adoption_legal_analysis_en.pdf (pp- 3-499) (11.07.2014) pg 439

ამზადებს დასკვნას სოციალური მუშაკის მიერ ჩატარებული კვლევის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში, რომელშიც მითითებული იქნება: მშვილელის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბავშვის შვილად აყვანის მოტივი, გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა. საჭიროების შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ეთნიკური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით აღზრდის შესაძლებლობას.

2.3. შვილად აყვანის შესახებ დასკვნა

როგორც ვიცით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 50/ნ, მიღებული 2010 წლის 26 თებერვალს „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების“ შესახებ, მუხლი 15 შეეხება შვილად აყვანის შესახებ დასკვნის წარმოებას. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტი უთითებს, თუ რა უნდა იყოს აღნიშნული შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში.²⁰კერძოდ:

მუხლი 15. შვილად აყვანის შესახებ დასკვნა

5. შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება:

ა) მშვილელის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბავშვის შვილად აყვანის მოტივი;

ბ) გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ჩვენი აზრით, მოცემული პუნქტი არ უბიძგებს სოციალურ მუშაკს სიღრმისეულად შეისწავლოს მშვილელის პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც შვილად აყვანის საკითხის მიმართ ზედაპირულ მიდგომას უწყობს ხელს. ვთვლით, რომ აუცილებელია კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტდეს მომავალი მშვილელის პიროვნული და ოჯახური მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები. პრაქტიკაში სოციალური მუშაკის მიერ მშვილელის შეფასება და მის მიერ დაწერილი დასკვნა ერთ გვერდს ან მაქსიმუმ სამს არ აღემატება, რაშიც მოკლედ არის გადმოცემული ოჯახსა და მშვილელის შესახებ არსებული მდგომარეობა, მაშინ, როცა უცხოეთიდან მიღებული დასკვნა მშვილელის მდგომარეობის შესახებ შესაძლოა 20 – 30 გვერდს შეადგენდეს.

აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტში უნდა შევიდეს ცვლილება და გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, დამატოს ვადა, თუ რა პერიოდის განმავლობაში იქნება შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნა მოქმედი ძალის მქონე.

შესაბამისად, მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება:

ა.ა მშვილელის ბიოგრაფიული მონაცემები, (მშვილელის ისტორია მისი ბავშვობის, ახალგაზრდობის, სკოლაში სწავლების პერიოდის შესახებ, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); ა.ბ) პიროვნული თვისებები (მხასიათებლები და ინტერესები, რომელიმე კლუბის ან ასოციაციის წევრობის შესახებ ინფორმაცია, დასვენების დრო, ჰობი), მშვილელის (მშვილელის) სტრესთან გამკლავების უნარი; მშვილელის (მშვილელის) მშობლობის უნარ-ჩვევები; ურთიერთობა მშობლებთან და მის და-ძმასთან (ყოლის შემთხვევაში); ა.გ) მშვილელის (მშვილელის) ეკონომიკური მდგომარეობა და ფინანსური მართვის უნარ-ჩვევები; ა.დ) მშვილელის (მშვილელის) სოციალური მდგომარეობა – საცხოვრებელი პირობები; ა.ე) ჯანმრთელობის მდგომარეობა; ა.ვ) მშვილელის (მშვილელის) ემოციური მდგომარეობა (მენტალური მდგომარეობა) და სტაბილურობა - ფსიქოლოგის დასკვნის წარმოდგენა; ა.ზ) მშვილელის (მშვილელის) კრიმინალური წარსული; ა.თ) მეგობრებისა და ნათესავების შესახებ ინფორმაცია. ა.ი) ბავშვის შვილად აყვანის მოტივი, მშვილელის (მშვილელის) მოსაზრება ბავშვის წარმოშობის გამჟღავნების შესახებ; ბ) გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

²⁰ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №50/ნ 2010 წლის 26 თებერვალი შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ"თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

5.¹ შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში აღნიშნული თანხმობა ძალაშია 2 წლის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება დასკვნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ შვილად აყვანის შესახებ, ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე გაშვილების შემთხვევაში დასკვნის მომზადებიდან ერთი კვირის ვადაში წარედგინება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს და საერთაშორისო გაშვილების შემთხვევაშიც კი სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნა შვილად აყვანის შესახებ მომზადებიდან ერთი კვირის ვადაში წარედგინება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“²¹ ერთი შეხედვით დაჩქარებულ ვადებში ახორციელებს გაშვილების პროცედურას, პრაქტიკაში სხვაგვარად ხდება. სოციალური მომსახურების სააგენტოები ნაბიჯ–ნაბიჯ ახორციელებენ პროცედურებს, მაშინ, როცა ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“²² ავალდებულებს სახელმწიფოებს იმოქმედონ სწრაფად გაშვილების პროცესის დროს.

სწორედ ამიტომ საჭიროა, ამ მხრივ გარკვეული მიდგომები შემუშავდეს და ჰააგის კონვენციით გათვალისწინებული ნორმები საქართველოს რეალობაშიც დამკვიდრდეს.

2.4. გაშვილების შემდგომი კონტროლი

მას შემდეგ, რაც მოხდება მშვილებლების მხრიდან ბავშვის აყვანა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უკვე აღარ იღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის შიგნით მშვილებელთა ოჯახების შემდგომი კონტროლის შესახებ. ეს იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ არ შეიცავს მსგავს ნორმას. თუმცა ვთვლით, იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად ჯანსაღ გარემოში იზრდება ბავშვი და შვილება შეესაბამება თუ არა მის თავდაპირველ მიზანს, აუცილებელია შეიქმნას მაკონტროლებელი მექანიზმი, რათა სახელმწიფომ გაშვილების შემდგომაც იზრუნოს ბავშვზე და გარკვეული პერიოდის განმავლობაში გააკონტროლოს მშვილებელი ოჯახი.

მიგვაჩნია, რომ ასეთი მაკონტროლებელი ინსტიტუტი უნდა შეიქმნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიგნით, რათა შვილად აყვანის შემდგომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდეს დაკვირვება და შესწავლა შვილად ამყვანი პირის/ოჯახისა.

ვფიქრობთ, რომ გაშვილების შემდგომ ქვეყნის შიგნით კონტროლის ნორმა უნდა აისახოს საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“ შესახებ, სადაც, ჩვენი აზრით, აღნიშნული კანონის 26–ე მუხლში უნდა განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

მუხლი 26. გაშვილების შემდგომი კონტროლი

1. ქვეყნის შიგნით გაშვილების დროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია მშვილებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოახდინოს ოჯახის რეგულარული შემოწმება, შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში.

2. საერთაშორისო გაშვილების დროს ცენტრალური ორგანო ვალდებულია

სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე მშვილებელი ქვეყნის ცენტრალურ ორგანოს (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში – გასაშვილებელ ქვეყანაში ლიცენზირებულ ან/და აკრედიტებულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციას) მოსთხოვოს საქართველოდან გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ყოველწლიურად მოწოდება სპეციალური ფორმის შესაბამისად, სანამ გაშვილებულ ბავშვს არ შეუსრულდება 18 წელი.

3. სამინისტრო ამტკიცებს საქართველოდან გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების სპეციალურ ფორმას. გაშვილების შემდგომ კონტროლს აწესებს უცხოეთის ზოგიერთი ქვეყანა გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

²¹ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – III, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

²² ჰააგის კონვენცია "ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ" 29 .05.1993

2.4.1 რუმინეთი

მაგ. რუმინეთში კომპეტენტური ორგანოები აკონტროლებენ მშვილებლების ოჯახს შვილად აყვანიდან 2 წლის განმავლობაში.²³

2.4.2 ბულგარეთი

ბულგარეთში შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ევალდებულებათ მონიტორინგი გაუწიონ შვილად აყვანილი ბავშვების ოჯახს ყველაზე მცირე ორი წლის განმავლობაში მისი შვილად აყვანიდან²⁴.

2.4.3 ლატვია

ამასთან, ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული რეგულაციის N111 „შვილად აყვანის პროცედურის შესახებ“ განსაზღვრავს, რომ მას შემდეგ, რაც მოხდება ობოლთა სასამართლოს მიერ (ობოლთა სასამართლოს მარეგულირებელი კანონის მეორე თავის თანახმად არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც დაფუძნებულია ოლქში, ქალაქში ან ადგილობრივი სამრევლო ხელისუფლების მიერ) შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება (მშვილებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), მშვილებელი ოჯახი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას შვილად აყვანიდან ორი წლის განმავლობაში.²⁵

3. მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტა

მეურვეობა და მზრუნველობა, რომელიც საჭიროა სამეურვეო და სამზრუნველო პირების უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად და მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად როგორც წესი, მთელი პერიოდის განმავლობაში წესდება. თუმცა აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება მეურვის ან მზრუნველის გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან, როდესაც ამის საჭიროება დგება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ ხაზგასმულია ის გარემოებები, როდესაც მეურვე და მზრუნველი თავისუფლდება მოვალეობისგან. პირველი, როდესაც ბავშვის მშობლებს მოვალეობები სრულად აღუდგებათ ან ბავშვი გაშვილდება ან როდესაც მეურვე და მზრუნველი პირადი თხოვნით მიმართავს თავიანთი მოვალეობისგან გათავისუფლებაზე, რაზეც აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასტური, რომ ეს თხოვნა საპატიო მიზეზით არის გამოწვეული (ავადმყოფობა, მატერიალური მდგომარეობის შეცვლა, სამეურვეო ან სამზრუნველო პირთან შეუთვისებლობა და სხვ.).²⁶ნათელია, რომ ზემოთ დასახელებული მიზეზები არ არის ამომწურავი და სხვა მიზეზებიც შესაძლოა იყოს საპატიო. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დარწმუნდეს, რომ თხოვნის დაკმაყოფილება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ინტერესებს შეესაბამება.²⁷ კანონი აგრეთვე ითვალისწინებს მეურვისა და მზრუნველის გათავისუფლებას ან გადაყენებას მათი ფუნქციების შეუსრულებლობის გამო, რაც სუბიექტურ ფაქტორზე შესაძლოა იქნეს დამყარებული.

კანონმდებელს სსკ 1301– ე მუხლის გათვალისწინებით ყურადღების მიღმა არ დარჩენია ასევე სამზრუნველო პირის უფლებაც, როდესაც მათი თხოვნით შესაძლებელია მზრუნველის მოვალეობისაგან განთავისუფლება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მზრუნველობის შეწყვეტა კი არ ხდება, არამედ კვლავ ძალაში რჩება, მხოლოდ იცვლება მზრუნველი.²⁸

კანონით ზუსტად არის განსაზღვრული მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები, რომელთა დადგომის შემთხვევაში აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება²⁹. ეს უპირველესად შეეხება სსკ 1302 –ე მუხლის თანახმად ისეთ შემთხვევებს, როდესაც გარდაიცვლება სამეურვეო პირი, ან

²³ Басалыга И. С., Key Features Of Modern Adoption Laws: Legal Procedures (pp-36-38)

http://elib.bsu.by/bitstream/123456789/48617/1/basalyga_2013_sbornik10_tom1.pdf (11/11/2015) გვერდი 36

²⁴ კალანდაძე ნ. კვლევითი დეპარტამენტი კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება. შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში

[http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32431/Svilad_ayvana_sazRvargareTis_qveynebsi.inter_\(15/10/2015\)](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32431/Svilad_ayvana_sazRvargareTis_qveynebsi.inter_(15/10/2015)) გვ 5

²⁵ Latvijas Republikas Labklājības Ministrija. Adoption. Procedures for Adoption. <http://www.lm.gov.lv/text/1128> (8.03.2016)

²⁶ ჭანტურია ლ. (რედ.) 2000. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე. თბ. : სამართალი , გვ 350–351

²⁷ შენგელია რ. შენგელია ე. 2013. საოჯახო სამართალი. თბილისი: მერიდიანი გვ 386

²⁸ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (786–III ს , 24.07.1997წ) .თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

²⁹ შენგელია რ. შენგელია ე. 2013. საოჯახო სამართალი. თბილისი: მერიდიანი გვ 389

არასრულწლოვანი სამეურვეო პირი მიაღწევს 7 წლის ასაკს, ან კიდევ სამეურვეო არასრულწლოვანი პირის, რომელსაც არ შესრულებია შვიდი წელი, მშობელს აღუდგა მშობლის უფლებები და მოვალეობები.³⁰

განსხვავებული მიდგომა არსებობს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მეურვეობა წყდება სამზრუნველო ასაკისათვის მიღწევის გამო. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მას შემდეგ, რაც პირი მიაღწევს 7 წლის ასაკს, მეურვეობა ავტომატურად გადადის მზრუნველობაში, რაზეც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური გადაწყვეტილება საჭირო არ არის.³¹

კანონით გათვალისწინებულია აგრეთვე მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლებიც. პირველი, რაც თვალნათელია, უკავშირდება სამზრუნველო პირის გარდაცვალებას. უდავოა, რომ ასეთ შემთხვევაში მზრუნველობა ავტომატურად წყდება, მაგრამ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება მაინც აუცილებელია. ლიგიკურია, რომ 18 წლის ასაკის მიღწევაც მზრუნველობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, თუმცა გამონაკლისიც არსებობს, როდესაც სამზრუნველო არასრულწლოვანი პირის დაქორწინებაც მზრუნველობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რა თქმა უნდა, მზრუნველობის შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც არსებობს, თუმცა ერთი რამ უდავოა, მზრუნველობა შეწყდება სამზრუნველო პირების მიმართ მაშინაც, თუ მოისპო ის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია მზრუნველის დანიშვნა.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ყველა სადავო საკითხი, რომელიც უკავშირდება მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტს კანონიერად გადაწყვეტის მიზნით, უზრუნველყოფილია მათი სასამართლო წესით განხილვა და გადაწყვეტა. დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება მეურვის (მზრუნველის) დანიშვნის, გადაყენების, განთავისუფლების, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ირგვლივ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტთა ინტერესების დასაცავად.³²

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია შვილად აყვანის პროცესში. აუცილებელია სათანადო ღონისძიებების გატარება, რათა დაცული იქნეს ბავშვის კანონიერი ინტერესები და მოხდეს სოციალური მუშაკების მიერ შვილად აყვანის პროცესის მაღალკვალიფიციურად განხორციელება. ოჯახი და ოჯახური გარემოს შექმნა კი ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობის შერწყმა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასთან ხელს შეუწყობს შვილად აყვანის საკითხის კიდევ უფრო მეტად დარეგულირებას და შვილად აყვანის პროცესის გამარტივებას.

გამოყენებული წყაროები

- [1] მამულაშვილი მ. 2014. *შვილად აყვანა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) დისერტაცია* თბილისი: სტუ
- [2] საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – III, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე
- [3] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №50/ნ 2010 წლის 26 თებერვალი შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ" თბილისი: საკანონმდებლო მაცნე
- [4] კალანდაძე ნ. კვლევითი დეპარტამენტი კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება. შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში

³⁰ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (786–III, 24.07.1997წ) .თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

³¹ ჭანტურია ლ. (რედ.) 2000. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე*. თბ. : სამართალი 356

³² ჭანტურია ლ. (რედ.) 2000. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე*. თბ. : სამართალი გვ 360–361

[http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32431/Svilad_ayvana_sazRvargareTis_qveynebSi.inter_\(15/10/2015\)](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32431/Svilad_ayvana_sazRvargareTis_qveynebSi.inter_(15/10/2015))

- [5] შენგელია რ., შენგელია ე. 2009. *სოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: მერიდიანი
- [6] საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (786–IIIს, 24.07.1997წ). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე
- [7] საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (786–IIIს, 24.07.1997წ). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე
- [8] შენგელია რ. შენგელია ე. 2013. *სოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი
- [9] ჭანტურია ლ. (რედ.) 2000. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე. თბ.: სამართალი
- [10] ჰააგის კონვენცია "ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გამვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ" 29 .05.1993
- [11] Brulard L., Dumont L. Final Report. Legal Analysis.
http://ec.europa.eu/civiljustice/news/docs/study_adoption_legal_analysis_en.pdf
(pp-3-499) (11.07.2014)
- [12] Latvijas Republikas Labklājības Ministrija. Adoption. Procedures for Adoption.
<http://www.lm.gov.lv/text/1128> (8.03.2016)
- [13] Басалыга И. С., Key Features Of Modern Adoption Laws: Legal Procedures (pp-36-38)
http://elib.bsu.by/bitstream/123456789/48617/1/basalyga_2013_sbornik10_tom1.pdf (11/11/2015)